ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. აგვისტოს 31. № 16 ნაწილი პირველი

შინაარსი

სოციალურ-კულტურული წყობილება.

183. საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება

183. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის შესახებ.

2. საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის დებულების სამოქმედოდ შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს:

ა) საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. ივლისის 1-ის თარიღისა და 47 №-ის დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ" („შინ. საქმ. სახ. კ ტის მოამბე" 1921 წ. 11 №-ი);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. სექტემბრის 1-ის თარიღისა და 62 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სამაზრო საარქივო ბიუროების შესახებ" (კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-ი, მუხ. 106);

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 3-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ცენტრალური არქივისათვის ფოტო-სურათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და კინო-ფილმების ნეგატივების გადაცემის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 306);

დ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 6-ის დადგენილება „საქართველოს სსრ საარქივო ფონდის შედგენილობაში შემავალი საარქივო მასალების შესახებ“ (კან. კრ. 1930 წ. მე 10 №-ი. მუხ. 115).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე. **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივნისის 13.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის შესახებ.

კ ა რ ი I.

თ ა ვ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო საარქივო ფონდის გამგებლობა და საარქივო საქმის ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეკისრება საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს, ხოლო ადგილებზე მის ქვემდებარე საარქივო დაწესებულებებს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდს შეადგენენ:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ, ხოლო აწ ლიკვიდირებულ და გაუქმებულ, რევოლიუციის შემდგომი პერიოდის სახელმწიფო და საზოგადოებრივ (პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეცნიერო და სხვ.) დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საარქივო ფონდები და საქართველოს ტერიტორიის გარეშე მყოფ მათ წარმომადგენლობათა, აგენტთა და განყოფილებათა საარქივო ფონდები; აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ, რევოლიუციის შემდეგი პერიოდის სახელმწიფო და საზოგადოებრივ (პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეცნიერო და სხვ.) დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, მათ შორის გადაკეთებულთა, და საქართველოს სსრ ტერიტორიის გარეშე მყოფ მათ წარმომადგენლობათა, აგენტთა და განყოფილებათა დამთავრებული ან გაუქმებული ყოველგვარი საქმის წარმოება, ნაწერი და სხვა მასალა;

შენიშვნა. საარქივო ფონდს წარმოადგენს ის საარქივო მასალათა ჯგუფი, რაც აერთიანებს ამა თუ იმ დაწესებულების ან პირის მოქმედების დროს დაგროვილ ყოველგვარ საარქივო მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რევოლიუციის წინა პერიოდში საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ აწინდელ ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა და მათ საუცხოეთო სააგენტოთა წარმომადგენლობათა და განყოფილებათა საარქივო ფონდები; აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ ყველა სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო, სადამზღვევო და სხვა დაწესებულებათა და საწარმოთა საარქივო ფონდები;

გ) საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ აწინდელ ტერიტორიაზე მომქმედი საქართველოს ყოფილი დემოკრატიული მთავრობის დაწესებულებისა და აგრეთვე კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციების ამგვარივე მასალები;

დ) ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებამდე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყოველგვარი სარწმუნოების რელიგიური კულტის დაწესებულებისა (ეკლესიების, კოსტიოლების, მეჩეთების, სინაღოღების, მონასტრების და სხვ.) სასულიერო მმართველობის ორგანოების ამგვარივე მასალები;

ე) ხელთნაწერები და სხვა წერილობითი, აგრეთვე ნახაზი და ფოტოგრაფიული მასალები (საქმეები, საბუთები, ქაღალდების პროექტები, ყოველგვარი ჩანაწერი, მემუარები, პირადი მიწერ-მოწერა, აგრეთვე მეცნიერულ ან ლიტერატურულ გამოკვლევათა და ნაშრომთა დედნები ან მათი სანაცვლო ასლები, ფოტოგრაფიული სურათები, ნახატები და სხვ.), რაც უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არსებობის პერიოდში მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე მყოფ პირთა, ან მათთან ახლო მდგომთა, როგორც ოფიციალურ მოღვაწეობასა, ისე მათ კერძო პირად ცხოვრებასთან, და რაც ამა თუ იმ მიზეზით სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა განკარგულებაშია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ვ) კონტრრევოლიუციისა და რეაქციის აქტიურ მოღვაწეთა ამგვარივე მასალები;

ზ) ასეთივე მასალები იმ პირთა, რომელნიც ემიგრირებულ არიან საზღვარგარეთ დაწყებული 1917 წლიდან;

თ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნაციონალიზებულ სახლკართა არქივები და საქართველოს ისტორიის დასაბამიდან ვიდრე 1917-მდე (ამწლითურთ) არსებული ყოველგვარი სამიწათმფლობელო არქივები;

ი) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სამრეწველო, საკრედიტო, სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა დამთავრებული ან მოსპობილი ყოველი სახის საქმისწარმოების ხელთნაწერები და სხვა მასალები.

კ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა საკონცესიო საწარმოს ამგვარივე მასალის ის ნაწილი, რაც ეხება ნაგებობას, ტეხნიკურ განყოფილებას, საექსპლოატაციო და საძიებლო სამუშაოს (გეგმები, ნახაზები, აღწერილობა და სხვ.), მასალა, რაც ეხება ამ საკონცესიო საწარმოში მუშა-ძალის გამოყენებას, და აგრეთვე კერძო პირების მიერ იჯარით აღებულ სახელმწიფო საწარმოთა მასალის ის ნაწილი, რაც ეხება იმავე საკითხებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) უპატრონო, ბეითალმანი და კონფისკებული ხელნაწერი და სხვა ამგვარი მასალა, რაც საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს ორგანოების მიერ, ამ მასალების აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ცნობილ იქნება საარქივო მნიშვნელობის მასალად, თუნდაც ეს მასალები, თავისი ხასიათით, არ ეთანაბრებოდეს ამა მუხლის წინა პუნქტში ჩამოთვლილ სხვადასხვა სახის მასალას, რომელიც შეადგენს საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს გამგებლობის საგანს (მაგალითად: სიგელ-გუჯრები, ძველი ხელთნაწერები, მეცნიერული და სალიტერატურო ნაწარმოებები, კერძო მიწერ-მოწერა, დღიურები და სხვ.);

მ) რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდგომი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ აწინდელ ტერიტორიაზე უკვე დაგროვილი, და რაც გროვდება, ისტორიულ-რევოლიუციონური ინტერესის მქონე ფოტო-სურათებისა და კინო-ფილმების ნეგატივები, აქედან ისეთებიც, რაც აკრძალულია სადემონსტრაციოდ და გამოსაქვეყნებლად; ხოლო უკეთუ ეს ნეგატივები დაკარგულია, მათი სანაცვლო პოზიტივები;

შენიშვნა. ამა (მ) პუნქტში აღნიშნული მოვალეობა ფოტო და კინო-მასალების ჩაბარებისა ვრცელდება ყველა იმ დაწესებულებასა და საწარმოზე, აგრეთვე პირზე, რომელიც ეწეოდა ნეგატივების წარმოებას და ექსპლოატაციას, ან ვისაც ეს ნეგატივები მოეპოვება;

ნ) ესა თუ ის ილუსტრირებული, ბეჭდვითი, ხელნაწერი და სხვა მასალა, ვისგანაც უნდა იყოს იგი გამოშვებული მასებში აგიტაციისა და პროპაგანდის სპეციალური მიზნით, მაგალითად: რევოლიუციონური და კონტრ-რევოლიუციონური პლაკატი, ყოველგვარი ნახატი საჯარო ადგილას გაკვრისა და სხვაგვარად გავრცელებისათვის დანიშნული, ფურცელი, მოწოდება, პროკლამაცია და სხვა, რაც ამა თუ იმ მიზეზით ხელთ ჩაუვარდათ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათ და ამ ჟამად მათ გამგებლობაშია, გარდა რევოლიუციის მუზეუმისა და ძირითად სახელმწიფო წიგნთსაცავებისა;

ო) ხელთნაწერებისა და გაზეთების და ჟურნალების კომპლექტების არქივები, რაც დაგროვდა ბეჭდვითს ორგანოებში; აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხარჯით გამომავალი ან სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედი გაზეთებისა, ჟურნალებისა და წიგნების გამომცემლობათა არქივები; რევოლიუციის წინა პერიოდის ყველა ბეჭდვითი ორგანოს ასეთივე არქივები;

პ) ამა თუ იმ მიზეზით გამოსაქვეყნებლად აკრძალული ლიტერატურულ, სამეცნიერო და სხვა ნაწარმოებთა ხელთნაწერები, და ერთდროულ და პერიოდულ გამოცემათა სტატიები და საინფორმაციო ცნობები;

ჟ) ბიბლიოთეკებიდან და წიგნთსაცავებიდან ხანგადასულობისა ან იდეოლოგიურად მიუღებლობის გამო გამორიცხული ყოველგვარი ბეჭდვითი მასალა, აგრეთვე გაუქმებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი ბეჭდვითი მასალა.

3. საბჭოთა პერიოდის ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და საწარმოს ზემოდ ჩამოთვლილი (მუხ. 2), მასალები, ამა დებულების მე-III კარში აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ, შედის საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საარქივო მასალები, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს სსრ საარქივო ფონდში შეიტანება მხოლოდ საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს და სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური საარქივო სამმართველოების შეთანხმებით.

5. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პროფესიონალური ორგანიზაციების საარქივო მასალები საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდში შეიტანება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს და საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შეთანხმებით.

6. საერთო საკავშირო მნიშვნელობის საარქივო ფონდები და მასალები საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგებლობაშია სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამართველოს საერთო მეთვალყურეობით.

7. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები არიან: რაიონებში—სარაიონო საარქივო ბიუროები, ხოლო ქალაქებში—საქალაქო საარქივო ბიუროები. ეს ბიუროები მოქმედებენ ამა დებულების მე-II კარში აღნიშნულ საფუძვლებზე.

8. საქართველოს შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველო თავის დავალებებსა და დირექტივებს ანხორციელებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საარქივო სამმართველოების მეშვეობით; ეს სამმართველოები მოქმედებენ განსაკუთრებული დებულების თანახმად, რაც, ამა დებულების საფუძველზე, გამოიცემა: ავტონომიურ რესპუბლიკებში—ამ რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით, ხოლო ავტონომიურ ოლქში—საქართველოს სსრ კონსტიტუციის 82 მუხ. შენიშვნით განსაზღვრული წესისამებრ.

9. ის საარქივო მასალები, რაც დაგროვდა რევოლიუციის წინა და შემდგომი პერიოდების უმაღლესი და ცენტრალური დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფესიონალური, კოოპერატიული, სამეცნიერო და სხვ.) ცენტრალური ორგანოების მოღვაწეობის შედეგად, აგრეთვე საერთო საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალები თავმოყრილია საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს უშუალო გამგებლობაში; ხოლო სხვა საარქივო მასალები საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოების უშუალო გამგებლობაშია (მუხ. 5) მათი დაგროვების ადგილის მიხედვით.

საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს უფლება აქვს გადაიტანოს თავის უშუალო გამგებლობაში საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში თავმოყრილი ყველა ისეთი საარქივო მასალა, რასაც იგი სცნობს განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკურ ან სამეცნიერო ღირებულების მქონე მასალად.

ასეთივე უფლება აქვთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ საარქივო სამმართველოებს იმ მასალების მიმართ, რაც აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ადგილობრივი საარქივო ორგანოების უშუალო გამგებლობაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს უფლება აქვს, საქართველოს სსრ-ისა, ა/კსფსრ-ისა და სსრკ-ის დაინტერესებულ უწყებებთან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით გზა აუქციოს ამა მუხლით დადგენილ საერთო წესს ადგილობრივ საარქივო ორ-განოებს შორის მასალათა განაწილების შესახებ, უკეთუ ამას საჭიროებს აღნი-შნული უწყებებისა და ორგანიზაციების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების ინტერესი, ან უკეთუ აღნიშნული ორგანოების მოქმედების რაიონი არ ეთანამ-თხვევება საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ დაყოფას.

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მასალების გადაჯგუფება სწარმოებს სსრკ-ის ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით.

10. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს უშუალო გამგებლობაში ქონებული ყველა საარქივო მასალა (მუხ. 9) განაწილდება ცენტ-რალურ სახელმწიფო არქივთსაცავებზე. ყველა იმ ცენტრალურ არქივსაცავთა ერთობლივობას, რომლებშიაც თავმოყრილია რევოლიუციის შემდგომი პერიო-დის მასალები, წარმოადგენს საბჭოთა არქივი ქ. ტფილისში; ხოლო ცენტრალურ არქივსაცავთა ერთობლივობას, სადაც თავმოყრილია რევოლიუციის წინა პერი-ოდის მასალები,—წარმოადგენს მთავარი საისტორიო არქივი ქ. ტფილისში.

ის საარქივო მასალები, რაც საარქივო მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საარქივო მმარ-თველობის სათანადო ორგანოების უშუალო გამგებლობაშია,—თავმოყრილია, ამა მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ადგილობრივ საბჭოთა და ადგილობრივი ისტორიული არქივების არქივთსაცავებში.

როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი არქივთსაცავები მოქმედებენ თანახმად საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივთსაცავების დებულებისა, რა-საც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

საისტორიო არქივებსა და საბჭოთა არქივებს შორის მასალების განაწი-ლებისათვის რევოლიუციის წინა პერიოდის მასალებსა და რევოლიუციის შემდ-გომი პერიოდის მასალებს შუა განმსაზღვრავ თარიღად მიღებულ უნდა იქნეს 1917 წლის იანვრის 1-ლი (ძველი სტილით).

11. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან არსე-ბობს სპეციალურად მოგვარებული კინო-ფილმების საცავი და საილუსტრაციო განყოფილება, ამა დებულების მე-2 მუხლის „გ“ და „ნ“ პუნქტებში აღნიშნული სათანადო მასალების შესანახად.

საქართველოს სსრ ადგილობრივ საარქივო ორგანოებთან საილუსტრაციო განყოფილებანი მოეწყობიან იმ შემთხვევაში, უკეთუ საამისოდ სათანადო მასა-ლა არსებობს; ამასთანავე ამავე განყოფილებათ დაეკისრება აგრეთვე კინო-ფილ-მების შენახვა.

12. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან არსე-ბობს ბიბლიოთეკა, რომელშიაც თავმოყრილია ნაბეჭდი მასალები,—მათ შორის ოფიციალური გამოცემები, სამეცნიერო და საცნობებო ნაბეჭდი მასალები, რაც საჭიროა საარქივო-სამეცნიერო დამუშავებისა და სამეცნიერო და პრაქტიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებისათვის. ასეთივე ბიბლიოთეკა არსებობს საარქივო მმართველობის ყველა ადგილობრივ ორგანოსთან.

საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამართველოს ბიბლიოთეკის შევსების მიზნით მას უნდა წარედგინოს ხოლმე: 1) საქართველოს წიგნის პალატის მიერ—თითო სავალდებულო ცალი ყველა იმ გამოცემისა, რასაც იგი მიიღებს; 2) ყველა პოლიგრაფიული საწარმოს და უწყების მიერ—თითო ცალი ყველა მათ მიერ გამოშვებული გამოცემისა; 3) ბიბლიოთეკების შედგენილობიდან გამორიცხული ბეჭდვითი ნაწარმოებნი (მუხ. 2, პუნ. „ე").

13. საიდუმლო ხასიათის მასალების შენახვისათვის არქივოსაცავებში მოეწყობიან საიდუმლო განყოფილებანი. ეს განყოფილებანი მოეწყობიან და მოქმედებენ თანახმად სპეციალური დებულებისა, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

14. სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების კონცენტრაცია, სისტემატიზაცია და შენახვა, აგრეთვე საარქივო-ტეხნიკური და საარქივო-სამეცნიერო დამუშავება სწარმოებს თანახმად სპეციალური წესების და ინსტრუქციებისა, რასაც დაადგენს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების რეპროდუქცია და გავრცელება სწარმოებს მხოლოდ საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილობაში შემავალი ფოტო და კინო მასალების გამოყენება საჯარო დემონსტრირებისა ან ექსპონირებისათვის შეიძლება მხოლოდ ამავე დებულების მე-IV კარით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

17. სახელმწიფო დაწესებულებათ, საწარმოთ, ორგანიზაციათ, აგრეთვე კერძო ორგანიზაციათ და ცალკეულ პირთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების გამოყენება სამეცნიერო, საგამომცემლო და საცნობებო მიზნით შეუძლიანთ მხოლოდ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამა დებულების მე-IV კარში, და აგრეთვე იმ სპეციალური წესების მიხედვით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო ამა დებულების განსავითარებლად.

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალების გამოყენებისათვის დაცულ უნდა იქნეს სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს ინსტრუქციები.

18. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცემს წესებსა და სახელმძღვანელო დირექტივებს დამთავრებულ საქმისწარმოებათა შენახვისა და ჩაბარებისათვის საარქივო—ტეხნიკურად განმზადების მეთოდებისა და საარქივო მმართველობის ორგანოებისათვის ჩაბარების წესის შესახებ. ეს წესები და დირექტივები სავალდებულოა ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის (მუხ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ-ის დაწესებულებათ და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთ და ორგანიზაციათ შეეფარდებათ სათანადო სახელმძღვანელო დირექტივები, რასაც შეიმუშავებს სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველო, სსრკ-ის მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატთან ერთად. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ღონისძიებანი—საერთო-საკავშირო დაწესებულებათა ადგილობრივი ორგანოებისა და საერთო საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმისწარმოების საარქივო ნაწილის დაყენების სფეროში—შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრკ-ის ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან.

საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ, რამდენად წესიერად ინახება და ჩასაბარებლად მზადდება საარქივო მასალები ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ (პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეცნიერო და სხვ.) დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაში.

19. საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდში შესული მასალების სამეცნიერო ღირებულობის საკითხის გადაწყვეტის უფლება, იმავე მასალების პრაქტიკული ღირებულების საკითხის გადაწყვეტაში, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, მონაწილეობის მიღების უფლება, ამ მასალების შენახვის ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით, და ამავე მასალების მოსპობის გადაწყვეტის უფლება ეკუთვნით საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოებს; ამ უფლებებს ისინი ანხორციელებენ განსაკუთრებული წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია ამა დებულების მე-III კარში, ხოლო საერთო საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალების მიმართ—სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს ინსტრუქციის მიხედვით.

20. ამა დებულებით საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის გამგებლობისად მიჩნეული ამა თუ იმ საარქივო მასალის საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარედ გატანა არსებული წესისამებრ (მუხ. 2) შეიძლება მარტოოდენ საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ნებართვით.

საერთო საკავშირო მნიშვნელობის მასალების გატანა შეიძლება სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს ნებართვით.

21. საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოების მოვალეობას შეადგენს იხმარონ ყოველი ღონისძიება იმ საარქივო მასალების დასაცავად, რაც საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის გამგებლობაში არ არის და ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ეს მასალები, ოკეთუ ამ მასალებს აქვს სამეცნიერო ღირებულება და საფრთხე მოელის დაუდევრად შენახვის გამო ან სხვა რამ მიზეზით.

22. საარქივო მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ თავიანთ ქვემდებარე არქივთსაცავებში შესანახად კერძო საარქივო კოლექციები და ცალკეული დოკუმენტები, რასაც ეს ორგანოები ისტორიული მნიშვნელობისად სცნობენ. შესანახად ჩაბარებული მასალების შენახვის ვადა და პირობები და პატრონების მიერ ამ მასალების გამოყენების წესი განისაზღვრება საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოს და აღნიშნული მასალების პატრონთა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმებით იმ სპეციალური წესების თანახმად, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

23. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე. საარქივო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ინახებიან ადგილობრივი სახსრით.

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური საარქივო ორგანოების ხარჯთაღრიცხვები გატარებულ უნდა იქნეს ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ხარჯთაღრიცხვებში და მიეკუთვნოს სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს.

24. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს და საარქივო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიანთ შექმნან საკუთარი სპეციალური სახსარი. ამ სახსარს შეადგენს საგამომცემლო მოქმედებით მიღებული შემოსავალი და იმ საქმეებისა და დოკუმენტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რაც სახელმწიფო არქივთსაცავებშია და რაც, არსებული წესისამებრ, აღიარებულ იქნება ისეთ მასალად, რის შენახვაც საჭირო არ არის (ამა დებულების მე-III კარი).

საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოების სპეციალური სახსრის დანიშნულებაა გააძლიეროს ამ ორგანოების საარქივო-სამეცნიერო ღონისძიებანი და საარქივო გამომცემლობა. საარქივო ორგანოების სპეციალური სახსარის მიღებისა, შენახვისა, განაწილებისა და ხარჯვის წესი გაითვალისწინება სპეციალური ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად.

ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის საარქივო მმართველობის ორგანოების სპეციალური სახსარის შექმნა, განაწილება და ხარჯვა სწარმოებს ამა მუხლში აღნიშნული წესის სრული შესაბამისობით.

კარი II.

თავი II.

საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

25. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო არსებობს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და, ექვემდებარება-რა უშუალოდ მის პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ასრულებს აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს დირექტივებს—საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალების გამგებლობის შესახებ და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური საარქივო სამმართველოების საბჭოს დირექტივებს—საერთო ფედერატიული მნიშვნელობის საკითხების შესახებ.

26. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს დაეკისრება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გაუწიოს საერთო გამგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდს;

ბ) განახორციელოს ყველა საერთო ღონისძიება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საარქივო საქმის მოწყობისათვის;

გ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანლობა საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოების საარქივო-სამეცნიერო მოქმედებას და საარქივო-ტეხნიკურ მუშაობას;

დ) უშუალოდ განაგოს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივთსაცავები;

ე) განახორციელოს საერთო ღონისძიებანი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საარქივო მასალების გაფუჭებისა და მოსპობისაგან დაცვისათვის;

ვ) ხელი შეუწყოს პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სახელმწიფოებრივ ამოცანებს—ამა თუ იმ საკითხების სფეროში სისტემატიური სამეცნიერო-საკვლევო ძიებათა წარმოებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების მიხედვით;

ზ) მოაწყოს დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და კერძო პირების მიერ, სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების გამოყენების საქმე;

თ) მოაწყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალების გეგმაშეწონილი გამოქვეყნების საქმე.

27. წინა (26) მუხლში აღნიშნული საერთო ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამართველოს, საარქივო საქმის საერთო ღონისძიებათა განხორციელებისა და სახელმწიფო საარქივო ფონდის საერთო გამგებლობის სფეროში, დაეკისრება:

ა) განახორციელოს საკანონმდებლო ორგანოების დეკრეტები, დადგენილებები და განკარგულებები საარქივო საქმის შესახებ, აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს დირექტივები და დავალებები საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალების გამგებლობისა და გამოყენების საკითხების შესახებ და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური საარქივო სამმართველოების საბჭოს დირექტივები საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის საკითხების შესახებ;

ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათ საკანონმდებლო განზრახულებანი საარქივო საქმის საკითხების შესახებ;

გ) მისცეს დასკვნები უმაღლეს სახელმწიფო ორგანოების განსახილველად წარდგენილი მიმდინარე კანონმდებლობისა და აგრეთვე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გამო, უკეთუ ეს საკითხები შეეხება საარქივო საქმეს;

დ) იხმაროს ღონისძიებანი საქართველოს სსრ ფარგლებში საარქივო დაწესებულებათა ქსელის განვითარებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გამოსცეს საარქივო საქმისათვის საჭირო საერთო წესები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები;

ვ) გაუწიოს ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ფარგლებში საარქივო მასალების კონცენტრაციისა და გადაჯგუფების საქმეს;

ზ) დასდოს შეთანხმებები საქართველოს სსრ-ისა, ა/კსფსრ-ისა და სსრკ-ის დაინტერესებულ უწყებებთან—ამ უწყებების ადგილობრივ ორგანოებში დაგროვილი საარქივო მასალებისათვის კონცენტრაციის საერთო წესის გამონაკლისით დადგენის საკითხების შესახებ (მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი);

თ) შემოიღოს საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოების საგამგებლო საარქივო მასალებისათვის ცენტრალური კარტოტეკა და აწარმოოს საარქივო ორგანოების მუშაობის ოპერატიული აღნუსხვა ცენტრში და ადგილებზე;

ი) იხმაროს ღონისძიებანი საარქივო განათლების განვითარებისა და საარქივო ცოდნის გავრცელებისათვის სამეცნიერო წარვლინებით, საარქივო კურსებისა, გამოფენებისა, საჯარო ლექციების და სხვ. მოწყობით;

კ) შეიმუშაოს მეცნიერულად არქივმცოდნეობისა და საარქივო ტეხნიკის საკითხები;

ლ) მოაწყოს საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებები, როგორიცაა: არქივთმეცნიერების კაბინეტი—საარქივო ქიმიურ-ტეხნიკური ლაბარატორიით, ცენტრალური საარქივო ცნობათა ბიბლიოთეკა და სხვ.;

მ) გამოსცეს ბეჭდვითი ორგანო საარქივო მშენებლობის საკითხებისათვის და საისტორიო ჟურნალი დოკუმენტებისა და საარქივო მასალებზე დამყარებულ გამოკვლევათა გამოსაქვეყნებლად;

ნ) მოიწვიოს ხოლმე საარქივო დარგში მომუშავეთა ყრილობები და თათბირები;

ო) დაამყაროს და განაგრძოს სამეცნიერო კავშირი სსრკ-ისა და უცხოეთის უუმნიშვნელოვანეს საარქივო, სამეცნიერო-საისტორიო საარქეოგრაფიო დაწესებულებებთან;

პ) მიიღოს მონაწილეობა სსრკ-ის ფარგლებში და საზღვარგარეთ უუმნიშვნელოვანეს საარქეოლოგიო და სამეცნიერო-საისტორიო ყრილობებში და კონფერენციებში;

ჟ) შეიმუშაოს, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მე-18 მუხ. გათვალისწინებული საკითხებისათვის საერთო-სახელმძღვანელო დირექტივები და გადასწყვიტოს საკითხი ცალკეული უწყებებისა, ცენტრალური დაწესებულებებისა და საბჭოთა ქვედა აპარატის სტრუქტურისა და საქმისწარმოების თავისებურობათათვის აღნიშნული სახელმძღვანელო დირექტივების შეფარდების შესახებ;

რ) იხმაროს ღონისძიებანი სახელმწიფო საარქივო ფონდისათვის მიკუთვნებული საარქივო მასალების განადგურებისა, გაფუჭებისა და უკანონოდ გაყიდვის წინააღმდეგ (მუხ. 2), აგრეთვე აღნიშნული მასალების შენახვისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ საარქივო ორგანოებისათვის ჩაბარების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობისა და წესების დარღვევის წინააღმდეგ;

ს) მოაწყოს საქართველოს სსრ ფარგლებში საარქივო ორგანოების კონტროლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამეცნიერო დაწესებულებების, მუზეუმების და ბიბლიოთეკების არქივებისა და ხელთნაწერების განყოფილებებისათვის—ისეთი მასალების გამოსარკვევად, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდს მიეკუთვნება (მუხ. 2).

28. საარქივო მმართველობის ორგანოების მოქმედების წარმართვის სფეროში საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს დაეკისრება:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროების მუშაობას საარქივო საქმეში;

ბ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის საარქივო სამმართველოების მუშაობას საარქივო მასალების კონცენტრაციისა, კლასიფიკაციისა, მეცნიერულად დამუშავებისა და გამოყენების სფეროში;

გ) შეაჩეროს, შესცვალოს და გააუქმოს სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროების დადგენილებანი და განკარგულებანი საარქივო საკითხების გამო, უკეთუ ეს დადგენილებანი და განკარგულებანი არ შეესაბამებიან საქართველოს სსრ კანონმდებლობას ან და საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს დირექტივებსა და განკარგულებებს;

დ) შეაჩეროს, შესცვალოს და გააუქმოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საარქივო სამმართველოებს დადგენილებანი და განკარგულებანი ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული საკითხების გამო, უკეთუ ეს დადგენილებანი და განკარგულებანი არ შეესაბამებიან საქართველოს სსრ-ისა, ა/კსფსრ-ისა, და სსრკ-ის კანონმდებლობას, ან საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს დირექტივებსა და განკარგულებებს, გარდა იმ დადგენილებებისა და განკარგულებებისა, რაც ემყარება სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირდაპირ მიწერილობას; ასეთ შემთხვევაში საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო შეიტანს პროტესტს აღნიშნული მიწერილობის გამო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

ე) შეუთანხმოს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს უშუალოდ ქვემდებარე საარქივო ორგანოების მუშაობის გეგმები (მუხ. 7 და 8) საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის საერთო ამოცანებს და საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიმდინარე საგეგმო დავალებებს განიხილოს საარქივო სამმართველოებისა და მისი ქვემდებარე ორგანოების მოქმედების ანგარიშები;

ვ) გამოიკვლიოს საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ყველა ორგანოს მოქმედება და გაუწიოს ინსტრუქტირება საარქივო მმართველობის ყველა იმ ორგანოს, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს (მუხ. 7 და 8);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) განიხილოს ზედამხედველობის წესით სარაიონო და საქალაქო-საარქივო ბიუროებთან მომქმედი შემმოწმებელი კომისიების დადგენილებანი (მუხ. 63);

თ) განიხილოს სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროების გამგეთა დანიშვნისა და დათხოვნის საკითხები, რასაც აღძრავენ შეთანხმების მიზნით სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები;

ი) გაუწიოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს და საარქივო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახმარება კვალიფიციური საარქივო პერსონალის შერჩევის საქმეში;

კ) ხელი შეუწყოს საარქივო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათი საჭიროებანი და შუამდგომლობანი დაკმაყოფილებულ იქნეს ხელისუფლების ადგილობრივი და სხვა ორგანოების მიერ.

29. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს განკარგულებანი შეუძლიანთ განაპროტესტონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში: ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ პრეზიდიუმებს, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს განკარგულების შეჩერება აღნიშნულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს შეუძლიანთ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს.

30. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს განკარგულების გაუქმება შეუძლიან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს; საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს განკარგულების გაუქმება შეუძლიან აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალურ საარქივო სამმართველოს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალების გამგებლობისა და გამოყენების საკითხების სფეროში, უკეთუ აღნიშნული განკარგულება არ ემყარება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პირდაპირ მიწერილობას.

31. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივთსაცავების უშუალო გამგებლობის სფეროში საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს დაეკისრება:

ა) მოაწყოს ცენტრალური არქივთსაცავები და თავი მოუყაროს ამ არქივთსაცავებში სათანადო საარქივო მასალებს (მუხ. 9);

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ცენტრალური არქივთსაცავების საარქივო-სამეცნიერო და საარქივო-ტეხნიკური მუშაობის ყოველ დარგს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დანიშნოს, დაითხოვოს და გადაიყვან-გადმოიყვახოს ცენტრალური არქივთსაცავების მომუშავენი;

დ) გამოაქვეყნოს დოკუმენტები, საარქივო მასალების სამეცნიერო აღწერები და აგრეთვე ცნობარები და კატალოგები;

ე) მოაწყოს საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან მეცადინეობის საქმე საარქივო მასალების დადგენილი წესისამებრ გამოყენებისათვის;

ვ) მისცეს დადგენილი წესისამებრ დაინტერესებულ დაწესებულებათ და პირთ ცენტრალურ არქივთსაცავებში შესანახად მოთავსებული საარქივო მასალების ასლები, ამონაწერები და ცნობები;

ზ) მისცეს დადგენილი წესისამებრ დაწესებულებათ დროებითი სარგებლობისათვის ცენტრალური არქივთსაცავების საარქივო მასალები;

თ) თვალყური ადევნოს იმ საარქივო მასალების სათანადოდ შენახვას, რაც ცენტრალურ არქივთსაცავებში უნდა ინახებოდეს, ხოლო რაც, ამა თუ იმ მიზეზების გამო, სხვა დაწესებულებების სარგებლობაშია;

ი) იზრუნოს, რათა ცენტრალური არქივთსაცავები თავის დროზე და სათანადოდ შევსებულ იქნეს საარქივო მასალებით;

კ) ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საკვლევო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—მათ მიერ, ცენტრალური არქივთსაცავების მასალების მიხედვით, კვლევა-ძიების წარმოების საქმეში;

ლ) შეამოწმოს, ასრულებენ თუ არა ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა მასალაც ცენტრალურ არქივთსაცავებში შედის, საარქივო მასალების შენახვისა და სახელმწიფო საარქივო ფონდში ჩასაბარებლად განმზადებისათვის დადგენილ პირობებს (მუხ. 12).

32. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს სათავეში სდგას გამგე, რომელსაც დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. გამგეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც დანიშნავს აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

33. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგეს უფლება აქვს შეიტანოს განსახილველად საკითხები სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, მის პრეზიდიუმში და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და დაესწროს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებს იმ საკითხების განხილვის დროს, რაც საარქივო საქმეს ეხება.

34. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგეს უფლება აქვს გადასწყვიტოს ყველა საკითხი, რაც საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს, გარდა იმ საკითხებისა, რაც საბჭოს (მუხ. 36) კომპეტენციაში შედის.

35. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგეს უფლება აქვს, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისარიატთან შეთანხმებით, მოაწყოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან საუწყებათაშორისო თათბირები და კომისიები და მიიწვიოს მათ შედგენილობაში მცოდნე პირები.

საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს გამგეს უფლება აქვს დანიშნოს მასალების გადამრჩევი კომისიები ცენტრალური საარქივო სამმართველოს თანამშრომელთაგან.

36. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან არსებობს ცენტრალური საარქივო სამმართველოს საბჭო—ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგისა, მისი მოადგილისა, სამმართველოს განყოფილებათა გამგეებისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივთსაცავთა გამგეებისა, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან—ოქტომბრის რევოლიუციისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლისათვის—არსებული განყოფილებისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან—პროფესიონალური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის—არსებული კომისიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თითო წარმომადგენლის შედგენილობით.

აღნიშნულ წარმომადგენლებს დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სათანადო უწყებისა და ორგანიზაციის წარდგენით.

საბჭოს კომპეტენციას შეადგენს პრინციპიალური ხასიათის—სამეცნიერო, საპროგრამო-სამეთოდო საკითხების განხილვა. საბჭო არ ერევა ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგის საადმინისტრაციო-სამეურნეო და ოპერატიულ მოქმედებაში.

37. უკეთუ ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგე თანახმა არ არის საბჭოს დადგენილებისა, მას შეუძლიან განასაჩივროს საბჭოს დადგენილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ისე კი, რომ დადგენილების აღსრულება არ შეაჩეროს.

38. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო შესდგება საადმინისტრაციო-საორგანიზაციო და არქივთმცოდნეობის განყოფილებებისაგან.

საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან არსებობს შემმოწმებელი კომისია ცენტრალური საარქივო სამმართველოს სამეცნიერო დარგში მომუშავეთაგან.

შენიშვნა. ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგის მოადგილე—ამასთავე საადმინისტრაციო-საორგანიზაციო განყოფილების გამგეა.

39. საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს განყოფილებათა და შემმოწმებელი კომისიის გამგეობლობის (მუხ. 38) ფარგლებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო 26—31 მუხლებში გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

40. საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III.

სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროები.

41. სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროები არსებობენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან, ექვემდებარებიან სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს და მათ პრეზიდიუმებს და მოვალენი არიან შეასრულონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების ყოველი მიწერილობა და დავალება, აგრეთვე საარქივო მმართველობის ზემდგომი ორგანოს მიწერილობა—საარქივო-საორგანიზაციო, საარქივო-სამეცნიერო და საარქივო-ტეხნიკური საქმიანობის სფეროში.

42. სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროებს დაეკისრებათ: საერთო გამგებლობა გაუწიონ საარქივო საქმეს რაიონის ტერიტორიაზე ან საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე; უშუალო გამგებლობა გაუწიონ აღნიშნულ ტერიტორიაზე მყოფ და როგორც ამ ტერიტორიის ფარგლებში მომქმედ სახელმწიფო და საზოგადოებრივ (პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეცნიერო და სხვ.) დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საარქივო მასალებს, ისე იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საარქივო მასალებს, რომელნიც თავიანთ მოქმედებას ავრცელებენ უფრო დიდ ტერიტორიაზე. გარდა იმ საარქივო მასალებისა, რაც საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს უშუალო გამგებლობაშია (მე-9 მუხ. მე-2 ნაწ.).

43. სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) განახორციელონ საარქივო მმართველობის ზემდგომი ორგანოს დირექტივები და დავალებები საარქივო საქმის სფეროში და შეიმუშაონ, აღნიშნული დირექტივების ფარგლებში, პროექტები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებებისა რაიონში ან საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე საარქივო საქმის მოწყობისა და წარმართვის შესახებ; გასცენ იმავე საკითხების გამო განკარგულებანი;

ბ) შეასრულონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა თუ საქალაქო საბჭოს დავალება—ბიუროს გამგებლობაში ქონებული საარქივო მასალების საბჭოთა მშენებლობის საჭიროებათათვის გამოყენების შესახებ, და ხელი შეუწყონ სამეცნიერო-საკვლევო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათ მიერ, საარქივო მასალების მიხედვით, წარმოებულ კვლევა-ძიების საქმეში;

გ) გამოარკვიონ და აღნუსხონ რაიონისა თუ საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე სახელმწიფო საარქივო ფონდის ყველა მასალა; აწარმოონ საარქივო მასალების სარაიონო და საქალაქო კარტოტეკა; თავი მოუყარონ ყველა იმ საარქივო მასალას, რაც საარქივო ბიუროს უშუალო გამგებლობაში უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე უპატრონო, ბეითალმან და სხვა სათანადო მასალებს, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტში;

დ) იზრუნონ, რათა სარაიონო და საქალაქო არქივთსაცავები თავის დროზე და სათანადოდ შევსებულ იქნეს საარქივო მასალებით;

ე) განაგონ უშუალოდ სარაიონო და საქალაქო არქივთსაცავები;

ვ) მისცენ, დადგენილი წესისამებრ, დაინტერესებულ დაწესებულებათ და კერძო პირთ საარქივო ბიუროს უშუალო გამგებლობაში ქონებული საარქივო მასალების ასლები, ამონაწერები და ცნობები;

ზ) შეამოწმონ, ასრულებენ თუ არა ის დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, რომელთა საარქივო მასალა შედის საარქივო ბიუროს უშუალო გამგებლობაში (მუხ. 42), საარქივო მასალების შენახვისა და ჩასაბარებლად განმზადებისათვის დადგენილ პირობებს;

თ) განიხილონ და დაამტკიცონ ადგილობრივ შემმოწმებელი კომისიების დადგენილებანი (მუხ. 63);

ი) შეათანხმონ და წარმართონ რაიონის დაწესებულებებთან და საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მომუშავე გადამრჩევი კომისიების მოქმედება (მუხ. 57 და 58);

კ) შეამოწმონ 62 და 63 მუხლებში აღნიშნული წესისამებრ იმ დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოსთან მომქმედი გადამრჩევი კომისიების დადგენილებანი, რომელნიც თავიანთ საარქივო მასალებს აბარებენ საარქივო ბიუროს;

ლ) აწარმოონ სამეცნიერო-საკვლევო ძიებანი სარაიონო და საქალაქო არქივთსაცავების მასალების მიხედვით—პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სახელმწიფოებრივი ამოცანებისათვის ხელისშესაწყობად;

მ) იხმარონ ღონისძიებანი—საქართველოს სახელმწიფო ფონდისათვის მიკუთვნებული საარქივო მასალების განადგურებისა, გაფუჭებისა და უკანონოდ გაყიდვის წინააღმდეგ და სათანადო შემთხვევაში დამნაშავენი ასეთი მოქმედებისათვის კანონიერ პასუხისგებაში მისცენ;

ნ) მოაწყონ სარაიონო და საქალაქო საარქივო ცნობათა ბიბლიოთეკა;

ო) აწარმოონ რაიონის ფარგლებში და საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე საარქივო საქმის პოპულარიზაცია;

პ) შექმნან სპეციალური სახსარი, რისთვისაც თავიანთ ხელში თავი მოუყარონ ყველა იმ თანხას, რაც შემოვა არშესანახი საარქივო მასალების გაყიდვით;

ჟ) იხმარონ საჭირო ღონისძიება საარქივო მმართველობის ამა თუ იმ ორგანოში მომუშავე საარქივო პერსონალის კვალიფიკაციის წარმატებისათვის და ხელი შეუწყონ რაიონში თუ საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მომქმედ სხვა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საარქივო დარგის მომუშავეების კვალიფიკაციის წარმატებას.

44. სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროებთან, ბიუროს გამგის თავმჯდომარეობით, არსებობენ შემმოწმებელი კომისიები, რომელთა შედგენილობასაც განსაზღვრავს ბიუროს გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროებისადაკვალად ბიუროს გამგე დანიშნავს გადამრჩევ კომისიას საარქივო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს თანამშრომელთაგან.

45. საარქივო ბიუროს გამგეს უფლება აქვს მოაწყოს ბიუროსთან დროებითი თათბირები და დროებითი კომისიები (გადამრჩევი კომისიის გარდა—მუხ. 44) და მიიწვიოს დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები და მცოდნე პირები.

46. სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროები წარუდგენენ საარქივო მმართველობის ზემდგომ ორგანოს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თუ საქალაქო საბჭოს პრეზედიუმს წლიურ გეგმებს და თავიანთი მოქმედების ანგარიშებს.

47. სარაიონო და საქალაქო საარქივო ბიუროებს აქვთ ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბით.

კ ა რ ი III.

თ ა ვ ი IV.

საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოებისათვის საარქივო მასალების ჩაბარება და შენახვისა და მოსპობის მიზნით ამ მასალების გადარჩევის წესი.

48. მომქმედ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმისწარმოება-დამთავრებული მასალები, 49-53 მუხლებში აღნიშნული მასალების გამოკლებით, ათი წლის შემდეგ დღიდან მათი დამთავრებისა, ჩაბარებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდში როგორც ისტორიული მასალა. ამ მასალების ჩასაბარებლად განმზადებების მეთოდებსა და ჩაბარების პირობებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო მე-18 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

მასალების ჩამბარებელმა დაწესებულებამ ჩასაბარებელი მასალა უნდა მიუტანოს სათანადო საარქივო ორგანოს თავისი ხარჯით და ჩაფუთვილი.

49. სასოფლო საბჭოების მასალები, გარდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩასაწერი აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და რევოლიუციამდე არსებული მეტრიკული დავთრებისა (მუხ. 52) ჩაბარდება საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოებს არა უგვიანეს სამი წლის ვადის შესრულებისა მათი დამთავრების დღიდან.

50. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ საკონცესიო და კერძო პირების მიერ იჯარით აღებულ საწარმოთა მასალები (მე-2 მუხ. „კ“ პუნ.), ჩაბარდება საარქივო მმართველობის ორგანოებს საკონცესიო და საიჯარო ხელშეკრულებების ვადის გასვლისას;

ამ ვადის გასვლამდე აღნიშნული მასალები საარქივო მმართველობის ორგანოებს შეიძლება ჩაბარდეს მხოლოდ სათანადო კონცესიონერებისა და მოიჯარეების სურვილისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

51. ფოტო-სურათებისა და კინო-ფილმების ნეგატივები ან ამ ნეგატივების სანაცვლო პოზიტივები (მე-2 მუხ. „მ“ პუნქ.) უნდა ჩაბარდეს საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოებს ხუთი წლის ვადის გასვლისთანავე მათი დამზადების დროიდან.

ფოტო და კინო-მასალების ჩასაბარებლად გამზადების წესი და საარქივო მმართველობის ორგანოებისათვის ჩაბარების პირობები გაითვალისწინება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ გამოცემული სპეციალური ინსტრუქციით.

იმ დაწესებულებათ და საწარმოთ, როშელნიც ფოტო და კინო-მასალებს აბარებენ ამა მუხლის თანახმად, მათი საავტორო უფლება ამ მასალებზე შეენარჩუნებათ საავტორო უფლების კანონებით გათვალისწინებული ვადების განმავლობაში.

52. ის საქმეები და სხვა მასალები, რაც დაგროვდა ამა თუ იმ დაწესებულებაში და საჭიროა მისი მოქმედებისათვის 48, 49 და 51 მუხლებით გათვალისწინებულ ვადებზე მეტი ხნის განმავლობაში, საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოს შეუძლიან დასტოვოს აღნიშნული დაწესებულების გამგებლობაში დამატებითი ვადით ნამდვილი საჭიროებისადაკვალად. ასეთი დატოვება მოხდება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს და დაინტერესებული დაწესებულების შეთანხმებით. იმ საქმეებისა და დოკუმენტების ჩაბარების ვადა, რაც ესაჭიროება მათ დამგროვებელ დაწესებულებასა და საწარმოს ცნობებისათვის (საქმე სამსახურის შესახებ, საადგილმამულო, სანოტარო, სამშენებლო და სხვ.) განისაზღვრება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს და დაინტერესებული უწყების შეთანხმებით, ხოლო იგი არ შეიძლება აღემატებოდეს 25 წელიწადს სათანადო საქმის წარმოების დამთავრების დღიდან.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების სარეგისტრაციო დავთრები და რევოლიუციის წინა პერიოდის მეტრიკული დავთრები დაიტოვება ამ ორგანოების გამგებლობად 75 წლის განმავლობაში სათანადო დავთრების დამთავრების დროიდან.

53. 48-51 მუხლებში გათვალისწინებული ვადების გასვლაზე ადრე საარქივო მასალების სახელმწიფო საარქივო ფონდში ჩაბარება შეიძლება მხოლოდ დაინტერესებული დაწესებულებისა და საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოს წინასწარი შეთანხმებით.

54. იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომლის მოქმედების პროცესშიაც დაგროვდა საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდში ჩასაბარებელი მასალები (მუხ. 2), აგრეთვე აღნიშნული მასალების ყველა ფაქტიურ მქონებელს უფლება აქვს მოსპოს მხოლოდ ისეთი მასალა, რის მოსპობასაც შესაძლებლად სცნობენ საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოები 55—65 მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ.

საარქივო მასალების ჩაუბარებლობა და უკანონოდ მოსპობა, აგრეთვე ამა დებულების ანალოგიური დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. იმის გამოსარკვევად, მოსასპობია თუ შესანახი საქმის წარმოება-დამთავრებული მასალები, საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო დაადგენს ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის (მუხ. 9) ნუსხებს საქმეებისას და სხვადასხვაგვარი საარქივო მასალებისას, რაც: ა) მუდმივ ინახება; ბ) ვადით ინახება ამა თუ იმ ხნის განმავლობაში და გ) ისპობა; ამასთანავე უკანასკნელი კატეგორიის მასალები დაიყოფა ორ კატეგორიად: 1) აუცილებლად მოსასპობ მასალად და 2) ზემოაღნიშნულ საარქივო ორგანოებთან წინასწარი შეთანხმებით მოსასპობ მასალად.

ნუსხების პროექტებს შეიმუშავებენ სათანადო დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები. ნუსხების დამტკიცების დროს საარქივო მმართველობის ორგანოებმა არ უნდა შეამცირონ საქმეებისა და დოკუმენტების შენახვის ვადები, რაც ნაჩვენებია დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ მათი პრაქტიკული მოქმედების ინტერესების მიხედვით.

საერთო საკავშირო მნიშვნელობის მასალების ნუსხებს დაამტკიცებს სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველო.

56. ის დაწესებულებანი, რომელთა მასალისათვისაც არსებობს 55 მუხლში გათვალისწინებული ნუსხები, ყოველი საოპერაციო წლის გასვლისას, გადაარჩევენ, აღნიშნული ნუსხების მიხედვით, გასული წლის ყველა იმ წარმოება-დამთავრებულ საქმესა და დოკუმენტს, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს; ხოლო დანარჩენი საქმეების და დოკუმენტების იმ მასალის გადარჩევას, რასაც დაწესებულებაში შენახვის ვადა გაუვიდა და რაც უნდა მოისპოს ან (მუხ. 48 და 49) საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოს გადაეცეს, დაწესებულებანი აწარმოებენ შემდგომ პერიოდულად.

მოსასპობი მასალის (55 მუხლის „გ" პუნ.) გადარჩევას დაწესებულება აცნობებს საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოს არა უგვიანეს, ვიდრე ათი დღით ადრე მასალების მოსპობამდე; დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას უფლება არ აქვს მოსპოს საარქივო მასალა აღნიშნული ათი დღის ვადის გასვლამდე.

57. იმ მასალებს, რაც უნდა მოისპოს საარქივო მმართველობის ორგანოების წინასწარი ნებართვით (55 მუხლის „გ" პუნ.) და რაც გადარჩეული აქვს დაწესებულებას ნუსხების თანახმად, გადასინჯავს სათანადო საარქივო ორგანოს გადამრჩევი კომისია (მუხ. 35 და 44), რათა გამოჰყოს აქედან ისეთი მასალა, რომელსაც, ამა თუ იმ განსაკუთრებული ნიშნების მიხედვით, აქვს სამეცნიერო ან პრაქტიკული ღირებულება.

58. ამა თუ იმ დაწესებულების ისეთი საქმისწარმოება-დამთავრებული მასალები, რაზედაც 55 მუხლში აღნიშნული ნუსხები არ არსებობს, როდესაც დადგება ამ მასალების საარქივო მმართველობის ორგანოებისათვის ჩაბარების ვადა (მუხ.48-52), სპეციალურად გამოკვლეულ უნდა იქნეს გადამრჩევი კომისიის მეშვეობით, რომელსაც ნიშნავს იმ დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც მასალები ირჩევა, თავის თანამშრომელთაგან, იმ მიზნით, რომ მან გადაარჩიოს საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივთსაცავებში მუდმივ თუ ვადით შესანახი ან მოსასპობი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საარქივო მასალები, რაც დადგენილი წესისამებრ მიეკუთვნება საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მასალებს, გადაირჩევა შესანახად თუ მოსასპობად სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს ინსტრუქციის მიხედვით.

59. შესანახი და მოსასპობი მასალების განაწილების დროს გადამრჩევი კომისიები იხელმძღვანელებენ იმას, თუ რა უშუალო მეცნიერული ღირებულება აქვს ამ მასალებს და აუცილებლად მხედველობაში მიიღებენ იმ პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც ამ მასალებს აქვს უწყებათა და დაწესებულებათა მოქმედებისათვის.

1865 წლამდე (ჩართვით) განვლილი დროის შესახები საარქივო მასალები, როგორც საერთო წესი, არ შეიძლება მოისპოს. 1905 წლის რევოლიუციის პერიოდის, აგრეთვე იმპერიალისტური ომის პერიოდის, ოქტომბრის რევოლიუციისა, სამოქალაქო ომისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ეპოქის შესახები საარქივო მასალები შეიძლება მოისპოს მხოლოდ განსაკუთრებული ინსტრუქციების თანახმად, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

60. როგორც საარქივო ორგანოებთან, ისე ამა თუ იმ დაწესებულებასთან, საწარმოსთან და ორგანიზაციასთან არსებული გადამრჩევი კომისიების (მუხ. 57 და 58) დადგენილებები მოსასპობად გადარჩეული მასალების მოსპობის შესაძლებლობისა და შესანახად გადარჩეული მასალების შენახვის ვადების შესახებ წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოსთან არსებულ შემმოწმებელ კომისიას (მუხ.62).

61. 58 მუხლში აღნიშნული წესისამებრ მასალების გადარჩევის დამოუკიდებლად, იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელსაც ნუსხები (მუხ. 55) არ აქვს, უფლება აქვს მოახდინოს დამოუკიდებული გადარჩევა მოსპობის მიზნით იმ საქმეებისა და საქმების შედგენილობაში შეუვალი დოკუმენტებისა, რაც გათვალისწინებულია სპეციალური სარჩევი სიებით. სარჩევ სიებში ჩაირთვის ისეთი საქმეები და დოკუმენტები, რასაც აშკარად სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. სარჩევი სიების პროექტები შეიდგინება და დამტკიცდება 55 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

62. შემმოწმებელი კომისია შეამოწმებს გადამრჩევი კომისიის დადგენილებას (მუხ. 60) როგორც იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება იგი საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს წესებსა და ინსტრუქციებს, ისე იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სისწორით არის მასალა გადარჩეული.

63. შემმოწმებელი კომისიის დადგენილებას ამტკიცებს სათანადო საარქივო ორგანოს გამგე და იგი საბოლოოა, უკეთუ დაწესებულება ან ორგანიზაცია არ განაპროტესტებს ამ დადგენილებას ზემდგომ საარქივო ორგანოში; დადგენილება შეიძლება გააუქმოს მხოლოდ ზემდგომმა საარქივო ორგანომ ზედამხედველობის წესით. განსაჩივრების წესს დაადგენს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

64. არაშესანახი საარქივო მასალების მოსპობის ღონისძიებანი განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრალური საარქივო სამმართველო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

65. საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის ორგანოებისათვის ჩასაბარებელ ფოტო და კინო-ნეგატივებს (მე-2 მუხლის „გ" პუნ.) გადასინჯავს და გადაარჩევს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ დანიშნული საექსპერტო კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმისა და საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის წარმომადგენელნი; ამასთანავე ყველა ის დაწესებულება და საწარმო, რომელიც ნეგატივების წარმოებას და ექსპლოატაციას ეწევა, ან რომელსაც აქვს აღნიშნული ნეგატივები, მოვალეა დაუბრკოლებლად მიუშვას საექსპერტო კომისია მათ ხელთქონებული ფოტო და კინონეგატივების გასასინჯავად და გადასარჩევად. საექსპერტო კომისია თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს სპეციალურ ინსტრუქციას, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო.

კ ა რ ი IV.

თ ა ვ ი V.

საარქივო ცნობებისა, ამონაწერებისა და ასლების გაცემის წესი.

66. სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო საწარმოს და პირს შეუძლიან მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოდან და საარქივო მმართველობის ადგილობრივ ორგანოდან მის გამგებლობაში ქონებული მასალების საარქივო ცნობები, ამონაწერები და ასლები.

შენიშვნა 1. საარქივო ცნობა ეწოდება საარქივო მმართველობის ორგანოს მიერ დაინტერესებული დაწესებულების ან პირისათვის მიცემულ ოფიციალურ წერილობითს მოწმობას იმის დასამტკიცებლად, რომ ესა თუ ის, ზედმიწევნით აღნიშნული საარქივო დოკუმენტი ნამდვილად არსებობს და საარქივო მმართველობის უწყებული ორგანოს გამგებლობაშია, ან, რომ ზედმიწევნით დასახელებული საარქივო დოკუმენტი, რომელიც საარქივო მმართველობის უწყებული ორგანოს გამგებლობაშია, ნამდვილად შეიცავს ამა თუ იმ ცნობას განსაზღვრული უფლებისა თუ ფაქტის შესახებ.

შენიშვნა 2. საარქივო ამონაწერი ეწოდება ამა თუ იმ საარქივო დოკუმენტის ტექსტის ნაწილის წერილობითს რეპროდუქციას, რაც შესრულებულია და ოფიციალურად დამოწმებული საარქივო მმართველობის იმ ორგანოს მიერ, რომლის გამგებლობაშიაც აღნიშნული დოკუმენტია.

67. საარქივო ცნობებისა, ამონაწერებისა და ასლების მიცემა კერძო პირებისათვის საარქივო დაწესებულებებს შეუძლიანთ მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში წარსადგენად ისეთი საკითხების გამო, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხება ამ პირთა კუთვნილ პირად ან ქონებრივ უფლებას; ამასთანავე, ცნობები, ამონაწერები და ასლები საიდუმლო ხასიათის მასალებისა, აგრეთვე ცნობები ისეთი ქონებრივი უფლების შესახებ, რაც წარმოიშვა უწყებულ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, კერძო პირებს არ უნდა მიეცეს.

შენიშვნა 1. საიდუმლო მასალად ითვლება რევოლიუციის შემდგომი პერიოდის დაწესებულების ისეთი საქმის წარმოება, რაც საარქივო მმართველობის ორგანოებს ჰბარდება საიდუმლი მასალის სახით, აგრეთვე ისეთი მასალა, რომლის გახმაურებასაც, მისი შინაარსის ხასიათის გამო, საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველო ან საარქივო მმართველობის სათანადო ორგანო სცნობს, სახელმწიფო ინტერესების მიხედვით, შეუძლებლად.

შენიშვნა 2. უცხოეთის მოქალაქეთ საარქივო ცნობები, ამონაწერები და ასლები შეიძლება მიეცეთ მხოლოდ სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ მთავრობასთან) მეშვეობით და საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით. ასეთივე წესით გაიცემა ცნობები იმ ქონებრივ უფლებათა შესახებ, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს საზღვარგარეთ.

68. 67 მუხლში აღნიშნულ შემთხვევათა გარდა, საარქივო ცნობები, ამონაწერები და ასლები კერძო პირთა პირადი და ქონებრივი უფლებების შესახებ მიეცემათ მხოლოდ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებს, რომელნიც მოითხოვენ ამ ცნობებს სათანადო კანონით გათვალისწინებული წესისამებრ.

69. ერთ საწერ თაბახ ქაღალდზე მეტი მოცულობის საარქივო ამონაწერი და ასლი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ მთხოვნელის ხარჯზე სათანადო საარქივო ორგანოსთან განსაკუთრებული შეთანხმებით.

70. სახელმწიფო არქივთსაცავში დაცული სურათებისა, ნახაზებისა, გეგმებისა, რუქებისა და ძველი დოკუმენტების ასლები ან ფოტოგრაფიული გადმონაღები დამზადდება მხოლოდ დაინტერესებული დაწესებულების ან პირის საფასურით.

71. საარქივო ცნობებისა და საარქივო მასალების ამონაწერების შედგენის ფორმა და წესი, აგრეთვე საარქივო ასლების გადმოღების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

თავი VI.

საარქივო მასალების გამოყენება.

72. საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის გამგებლობაში ქონებული საარქივო მასალები სამუშაოდ გამოიყენება საარქივო სამმართველოებთან სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ სადგომებში საარქივო მმართველობის იმ ორგანოს ნებართვით, რომლის გამგებლობაშიაც სათანადო საარქივო მასალებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73. 72 მუხლში აღნიშნული წესის გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და საზოგადოებრივ (პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვ.) ორგანიზაციათათვის, რომელთაც საარქივო მმართველობის ორგანოებს შეუძლიანთ მისცენ საარქივო მასალების დროებითი სარგებლობისათვის, არქივსაცავების გარეშეც, უკეთუ მასალები ადგილობრივ მოხმარება, მუშაობის ხასიათის მიხედვით, მოუხერხებელია; ასეთ შემთხვევაში ვადა, რომლის განმავლობაშიაც საარქივო მასალა შეიძლება გაიცეს დროებითი სარგებლობისათვის, არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ მისთვის გადაცემული მასალის შენახვისა და ხმარების პირობები, ამ მასალების ხასიათისა და თვისების მიხედვით, აგრეთვე სარგებლობის ვადა (ზემოაღნიშნული ექვსი თვის ფარგლებში) განისაზღვრება სათანადო საარქივო ორგანოს მიერ დაინტერესებულ დაწესებულებასა, საწარმოსა თუ ორგანიზაციასთან დადებული შეთანხმებით. ამა მუხლით დადგენილი ექვსი თვის ვადის განგრძობა სათანადო საარქივო ორგანოს შეუძლიან მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში.

დროებით სარგებლობისათვის ფოტო და კინო-მასალები არ გაიცემა.

ის საარქივო მასალები, რაც ამა თუ იმ ადგილობრივ საარქივო სამმართველოს გამგებლობაშია, საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ნებადაურთველად, არ შეიძლება მიეცეს დროებითი სარგებლობისათვის იმ ტერიტორიის გარეშე მყოფ დაწესებულებას, რომელზედაც ვრცელდება უწყებული ადგილობრივი საარქივო ორგანოს მოქმედება.

საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საარქივო მასალები შეიძლება გაცემულ იქნეს დროებითი სარგებლობისათვის მხოლოდ სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგის ნებართვით.

74. განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო, სამეცნიერო-სამხატვრო და სამუზეუმო დაწესებულებათა მოღვაწეობის პროცესში დაგროვილი საარქივო მასალები, რაც განუყრელად დაკავშირებულია ამ დაწესებულებათა მიმდინარე სამეცნიერო მუშაობასთან ან მათვე ნივთიერ კოლექტივთან და ნივთიერ ძეგლებთან, მაგ. როგორიც არის საარქიტექტურო მასალა, რაც საჭიროა სარესტავრაციო სამუშაოებისათვის, სამუზეუმო ქონების აღწერილობა, მემორიალური მუზეუმების მემორიალური ხასიათის დოკუმენტები და ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა სამეცნიერო ექსპედიციებისა და საკვლევო სამუშაოთა დედნები,— შედის, საერთო საფუძველზე, სახელმწიფო საარქივო ფონდის შედგენილობაში; ხოლო ეს მასალები შეიძლება დატოვებულ იქნეს აღნიშნულ დაწესებულებებში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის და ექსპონირებისათვის ვადით ან მუდმივ შესანახად, საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან დადებული შეთანხმების თანახმად.

75. სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ მოახდინონ საქმეებისა და დოკუმენტების ამორკვევა სახელმწიფო არქივთსაცავებიდან მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მარტო საქმეებისა და დოკუმენტების ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერებით და ასლით ან ამონაწერით დაკმაყოფილება. სახელმწიფო არქივთსაცავიდან მასალის გამოთხოვა გამომძიებელს შეუძლიან მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ ამ ღონისძიების აუცილებლობას ადასტურებს პროკურორი, რომელიც გამოძიებას ზედამხედველობას უწევს.

76. 73 მუხ. თანახმად დროებითი სარგებლობისათვის გაცემული და 74 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათათვის შესანახად დატოვებული მასალები მთელი იმ ვადის განმავლობაში, რაც ეს მასალები იმ დაწესებულებაშია, რომელსაც იგი მიეცა ან დაეტოვა, ითვლება იმ საარქივო დაწესებულების კონტროლქვეშ, რომელიც ამ მასალებს განაგებს.

77. იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელსაც საარქივო მასალები დროებითი სარგებლობისათვის გადაეცა, უფლება არ აქვს დაუთმოს იგი სამუშაოდ გარეშე პირთ, გამოიყენოს იგი გამოსაქვეყნებლად სრული რეპროდუქციის სახით და გასცეს ამ მასალების საარქივო ასლები, ამონაწერები და ცნობები.

სამეცნიერო, სამეცნიერო-სამხატვრო და სამუზეუმო დაწესებულებებში, ამა დებულების 74 მუხლის თანახმად, დაცული მასალების მიმართ საარქივო მმართველობის ორგანოები იხელმძღვანელებენ ამ მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებას.

78. საარქივო სამმართველოებში საარქივო მასალებზე მუშაობისათვის მიიშვებიან სახელმწიფო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ საამისოდ მივლინებული პირნი, აგრეთვე ცალკეული მკვლევარნი, რომელნიც ცნობილნი არიან საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის უწყებულ ორგანოში, ან რომელნიც წარადგენენ თავიანთ შესახებ დამაკმაყოფილებელ რეკომენდაციას.

79. საარქივო მუშაობის ნებართვას გასცემენ საქართველოს სსრ საარქივო მმართველობის სათანადო ორგანოების გამგენი. ამ ნებართვაში ზედმიწევნით აღნიშნულ უნდა იქნეს, რა საკითხის გამო და რა მასალებზე მუშაობისათვის მიეცა ნებართვა უწყებულ პირს.

შუამდგომლობა საარქივო სამმართველოში უცხოელთა სამუშაოდ მიშვების თაობაზე აღძრულ უნდა იქნეს სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ მთავრობასთან) მეშვეობით.

80. მუშაობაზე მიშვება უფლებას არ ანიჭებს მომუშავეს გამოაქვეყნოს მთლად საქმის ან ცალკეული დოკუმენტის და მასალის დედნის ტექსტი. საარქივო მასალის დედნის ტექსტის მთლად გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს ან საარქივო მმართველობის სხვა სათანადო ორგანოს განსაკუთრებული ნებართვით—აღნიშნული მასალების ქვემდებარეობისდაკვალად, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ საარქივო მასალების გამოყენების შესახებ დადგენილი წესები.

81. საარქივო მასალების რეპროდუქტირება გრაფიკულად ან ფოტოგრაფიულად არ ანიჭებს მომუშავეს რეპროდუქტირებული მასალის საავტორო უფ-

№ 35
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებას. ამ მასალების პრესაში გამოქვეყნება ან ექსპონირება შეიძლება მხოლოდ მე-80 მუხლში აღნიშნულ საფუძველზე.

საქართველოს სსრ სარევოლიუციო მუზეუმს, სამუზეუმო ექსპონირებისათვის, აქვს მე-2 მუხლის „მ“ პუნ. აღნიშნულ ფოტო და კინო-მასალების (პოზიტივების) რეპროდუქტირების უფლება.

ზემოაღნიშნული მიზნისათვის ხსენებული მასალების ასლების გადაღების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ინსტრუქციით.

82. ის პირნი, რომელთაც საარქივო მასალებზე მუშაობისათვის ნებართვა მიეცემათ, მოვალენი არიან დაემორჩილნენ საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მიერ საამისოდ გამოცემულ წესებს. მომუშავეთა მიერ ამ წესების დარღვევა გამოიწვევს მათთვის მიცემული ნებართვის გაუქმებას.

83. ის დაწესებულება, ორგანიზაცია ან ცალკეული მკვლევარი, რომელმაც, საარქივო მასალების მიხედვით, გამოაქვეყნა გამოკვლევა ან, სათანადო ნებართვისამებრ (მუხ. 80 და 81), აღნიშნული მასალების დედნის ტექსტი თუ გრაფიკული ასლი,—მოვალეა წარუდგინოს უფასოდ საარქივო მმართველობის ორგანოს, გამოყენებული ან რეპროდუქტირებული მასალის ქვემდებარეობის მიხედვით, აღნიშნული ნაშრომისა თუ გამოქვეყნებული მასალის ორი ცალი.

84. საარქივო მასალების გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს განსაკუთრებული ინსტრუქციით.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 1543. ტირაჟი 1.100